საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N37 2017 წლის 23 თებერვალი ქ. თბილისი

გ. არველაძის, მ. გოცირიძის, ნ. ქაჯაიას, მ. ტეტელოშვილისა და ლ. წურწუმიასთვის „საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს **გენადი არველაძეს**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსს **მარიამ გოცირიძეს**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსს **ნინო ქაჯაიას**, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის საგადასახადო პოლიტიკის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს **მანანა ტეტელოშვილსა** და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს **ლევან წურწუმიას** მიენიჭოთ „საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების

ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გ. არველაძის, მ. გოცირიძის, ნ. ქაჯაიას, მ. ტეტელოშვილისა და ლ. წურწუმიასთვის „საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2017 წლის 21 თებერვლის №35 ბრძანება.

გიორგი კვირიკაშვილი